26.11.2021

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების „გუდაურის მაღლობების“ გრგ პროექტის სგშ ანგარიშის პროექტის

საჯარო განხილვის ოქმი

შეხვედრის დეტალები

შეხვედრის ადგილი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შეხვედრის თარიღი	26.11.2021წ.
შეხვედრის დაწყების დრო	13:00 სთ.
შეხვედრის დასრულების დრო	14:00 სთ.
ღონისძიების დამგეგმავი ორგანო	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლები	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი- სოფიკო მაისურაძე; ურბანული განვითარების სამმართველოს, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნიკა მესხიშვილი
პროექტის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, პრეზენტაციებს უძღვებოდნენ:	სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია, შპს „ბაუ დიზაინის“ დირექტორი, მიხეილ ბალიაშვილი; სგშ-ს მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, შპს გის და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“-ს კონსულტანტი თამარ ბაკურაძე;
შეადგინა	ნიკა მესხიშვილი

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის წარმომადგენლები;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

განხილვას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული მხარეები/პირები და აგრეთვე საპროექტო არეალში შემავალი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი ანგარიშის საჯარო განხილვის საფუძველი:

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, მუხლი 27. „სგშ-ის ანგარიშის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა“.

განხილვის მიზანი:

- სტრატეგიული გარემოსდაცვითი დოკუმენტის საზოგადობისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;
- საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების მხრიდან, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;
- საზოგადოების წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა; შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მხედველობაში მიღება.

საჯარო განხილვის მსვლელობა

საჯარო განხილვა დაიწყო წინასწარ განსაზღვრულ დროს (13:00 სთ).

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა სოფიკო მაისურაძემ. მან წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას გრგ-ს პროექტი და ასევე ისაუბრა აღნიშნულ განხილვაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.

შეხვედრის შემდეგ ეტაპი იყო, ინფორმაციის დეტალურად მიწოდება აუდიტორიისთვის.

პრეზენტაციას თავდაპირველად გაუძღვა შპს „ბაუ დიზაინის“ დირექტორი, მიხეილ ბალიაშვილი. მან საზოგადოებას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია გრგ-ს პროექტის თაობაზე, ქვემოდ მოცემული საკითხების შესახებ:

- საპროექტო ტერიტორიის წარდგენა;
- ჩატარებული კვლევების გაცნობა და მიმოხილვა;
- ზვავსაშიში ტერიტორიის ზონირება და მასთან დაკავშირებული კვლევების მიმოხილვა;
- გუდაურის განაშენიანების გეგმის მიმოხილვა;
- ფუნქციური ზონირება გუდაურის განაშენიანების გეგმის მიხედვით;

- თავსებადობა იერარქიულად გრგ-ს პროექტზე ზემდგომ მდგარ დოკუმენტთან - „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია“ (2019 წ);
- მშენებლობისთვის დადგენილი პარამეტრების წარდგენა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების ეტაპზე არსებული ვარიანტების (ალტერნატივების) წარდგენა და აღნიშნული ვარიანტების შედარება;
- გრგ-ს ესკიზის წარდგენა და მიმოხილვა:
  - ფუნქციური ზონების წარდგენა;
  - ავტოსადგომების სქემა;
  - შემზღუდავი ზონები;
  - სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიები;
  - ფუნქციური გამოყენების სახეობათა რუკა.

პრეზენტაციის მეორე ეტაპს წარუძღვა სგშ-ს მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, შპს გის და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“-ს კონსულტანტი თამარ ბაკურაძე. ქვემოთ წარმოდგენილია პრეზენტაციაზე განხილული საკითხები:

- სგშ ანგარიშის მიზნები და ამოცანები: გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის საკითხების ინტეგრირებას გეგმებში;
- დამგეგმავი და უფლებამოსილი ორგანების წარდგენა;
- სგშ დოკუმენტის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა;
- „გუდაურის მაღლობების“ მდებარეობისა და გეოგრაფიული არეალის წარდგენა;
- საპროექტო არეალი და გეგმარებითი გადაწყვეტები;
- საპროექტო ტერიტორიასთან დაკავშირებული სხვა სტრატეგიული დოკუმენტების კავშირი საპროექტო დოკუმენტთან და მათი მიზნებისა და მნიშვნელობის მოკლე მიმოხილვა;
- დაბა გუდაურის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის გაუმჯობესების მიზნით საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა/ექსპლუატაცია;
- სტრატეგიული ალტერნატივების წარდგენა;
- სტრატეგიულ ალტერნატივათა რანჟირების მატრიცის წარდგენა;
- გეგმარებითი ალტერნატივების წარდგენა;
- გეგმარებითი ალტერნატივათა დადებითი და უარყოფითი მხარეების მოკლე მიმოხილვა;
- საბაზისო კვლევების მიმოხილვა;
- ხაზგასმული იქნა ზვავების კვლევა: უსაფრთხო, ლიმიტირებული რისკის შემცველი და მაღალი რისკის შემცველი ზონების მიმოხილვა და დაშვებულ ქმედებათა განხილვა;
- ბოტანიკური და ზოოლოგიური კვლევების მიმოხილვა;
- დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის საიტების სიახლოვე საპროექტო არეალთან;
- საკადასტრო მონაცემთა კვლევა;
- მოსალოდნელი ზემოქმედებები ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე როგორც გრგ-ს განხორციელების ისე შემდგომ ოპერირების ეტაპზე;
  - შესაძლო ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე;
  - შესაძლო ზემოქმედებები წყლის რესურსებზე;
  - შესაძლო ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტზე;
  - შესაძლო ზემოქმედებები ბიომრავალფეროვნებაზე;
  - მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები;
  - შესაძლო ზემოქმედება ლანდშაფტსა და დასახლების იერსახეზე;

        - შესაძლო ზემოქმედებები ადამიანის ჯანმრთელობასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებით;
        - შესაძლო სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებები;
    - ზემოქმედებების შეჯამებული ინტეგრირებული შეფასების შედეგების წარდგენა;
    - გარემოსდაცვითი რისკების მატრიცის წარდგენა;
    - ბოლოს წარდგენილი იქნა გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმა.

კითხვა-პასუხის რეჟიმი

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სტრატეგიული დოკუმენტის საჯარო გახილვა გადავიდა ე.წ. კითხვა პასუხის რეჟიმზე. კითხვებს, შენიშვნებს, მოსაზრებებსა და ინიციატივებს წარმოადგენდნენ როგორც სახელმწიფო ორგანოს, ასევე ადგილობრივი მოსახლეების წარმომადგენლები და საზოგადოების მხრიდან დაინტერესებული პირები.

შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესი გამოხატეს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საპროექტო არეალში მიწის საკუთრებები- თამარ ბაკურაძემ განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე ყველა მიწის ნაკვეთი კერძო-საკუთრებაშია, გრგ-ს ფარგლებში საკადასტრო ნაკვეთების რაოდენობაა 19, სადაც 1 ნაკვეთი თანასაკუთრებაშია. ნაკვეთების ჯამური ფართობია 535,987 კვ.მ, ყველა ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა.
- სახელმწიფოს მხრიდან საპროექტო არეალში შემავალი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის საკითხი - აღნიშნული განმარტა მიხელ ბალიაშვილმა განმარტა რომ სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და ისინი რჩება მფლობელთა საკუთრებაში.
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს, კერძოდ ვინ მოახდენს სგშ-ს დოკუმენტში წარმოდგენილი გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მონიტორინგს-თამარ ბაკურაძემ განმარტა, რომ დუშეთის საკრებულოს მიერ გრგ დოკუმენტთან ერთად უნდა დამტკიცდეს სგშ-ს დოკუმენტიც, რომლის შემადგენელი ნაწილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმა. გეგმაში მითითებულია, თითოეულ კონკრეტულ ქმედებაზე თუ ვინ არის პასუხისმგებელი და შესრულების ინდიკატორები. რაც შეეხება მთლიანი გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას, ეს საკითხი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გადანაწილებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს შორის.

შეჯამება

საბოლოო სახით შეიძლება ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და დადებითად შეაფასეს სგშ-ში წარმოდგენილი საკითხები. ასევე, აღნიშნეს რომ დაახლოებით 2 კვირაში ელექტრონულად მოხდება პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების მიღება, ხოლო თვის ბოლოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დაიწყება რეკომენდაციების გაცემა.

ოქმის სისწორეს ვადასტურებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი

სოფიკო მაისურაძე 01.12.2021